საქართველოსა და უკრაინის უსდ-ების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში ინდუსტრიული პარადიგმა 4.0-ის მეშვეობით - HEIn4 (საგრანტო პროექტის ნომერი: 609939-EPP-1-2019-1-BEEPPKA2-CBHE- JP) ევრო კავშირის ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში 2019 წელს დაფინანსდა პროექტი HEIn4, იგი ინდუსტრია 4.0 პარადიგმის განვითარებაზე ორინტიებული, პირველი პროექტია საქართველოში. პროექტის მონაწილეა ბათუმის შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ATSU) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). პროექტის წარმდგენია ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (KU LEUVEN, ბელგია), ასევე პროექტის მონაწილეები არიან ევროპის წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებები: პორტოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (P.PORTO, პორტუგალია), სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (KTH, შვედეთი) და ევროპის ერთ-ერთი მსხვილი ინდუსტრიული კომპანია Volvo cars Ghent (VOLVO, ბელგია). პროექტით დაგეგმილი აქტივობები ქართულ უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებებთან ერთად ხორციელდება უკრაინის ოთხ უნივერსიტეტში: დონეცკის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლუტსკის ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინის ერვნული მეტალურგიული აკადემია და ოდესის მეჩნიკოვის ეროვნული უნივერსიტეტი, პროექტის არააკადემიური პარტნიორია უკრაინიდან ტექნოლოგიების მიმწოდებელი საერთაშორისო კომპანია FESTO. აქტუალობა. ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ მსოფლიო განვითარების პარადიგმა მყისიერად შეცვალა და ძალიან ბევრი განვითარებული ქვეყანა „ახალი ინდუსტრიული რევოლუციის სანაპიროსთან“ მიიყვანა. ეს ახალი გამოწვევა ინდუსტრია 4. 0 სახელითაა ცნობილი და მას პროდუქტიულობის, მომგებიანობის მაჩვენებლის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება შეუძლია. ევრო კავშირი აღნიშნულ პროცესში ერთერთი ყველაზე დიდი წამყვანი ძალაა. ტერმინი „ინდუსტრია 4.0“ გამოიყენება პროექტირების ეტაპთან, წარმოების პროცესებთან, საწარმოების ფუნქციონირებასა და წარმოების სისტემების მომსახურებასთან ასოცირებულ მთელი რიგი სწრაფი ტრანსფორმაციების აღსანიშნავად. უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის მომწიფების საფუძველს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციები და ხარისხიანი ექსპლუატაცია არ წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც რევოლუციური სვლა უშუალოდ საწარმოების საქმიანობის მოდელის ახალ კონფიგურაციაზეა დაფუძნებული. გლობალური ინდუსტრიალიზაციის პროცესი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა სადაც მოძველებული, თუნდაც განვითარებული საწარმოები სკეპტიკურად უყურებენ ნოვატორულ გადაწყვეტილებებში ინვესტირების თემას. შედეგად, მოკლე ვადიანი და სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული სტრატეგიების წინა პლანზე დაყენება გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისკენ სწრაფვასთან შედარებით, ცალსახაა. ამ ახალი კურსით სვლა გონივრულ მიდგომას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტექნოლოგიური ნაკლოვანებები კიდევ უფრო ფართო და სერიოზულ ხელისშემშლელ სახეს მიიღებს. ინდუსტრია 4.0 საქართველოში საკმაოდ ახალი კონცეფციია. პროექტის HEIn4 ერთ ერთი მნიშვნეოვანი პრიორიტეტი საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარებაა. პროექტის ფარგლებში განხორციელებული სწავლებისა და კვლევის მიზანი საქართველოში მომავალში დასაქმებისთვის აუცილებელი უნარებისა და კომპეტენციების განსაზღვრა და ისეთი განათლების უზრუნველყოფაა, რომელიც ამ უნარებისა და ცოდნის განვითარებას უზრუნველყოფს ინდუსტრია 4.0 პარადიგმის გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პროექტში მონაწილე ქართული მხარე აპირებს ითანამშრომლოს შესაბამის სამინისტროებთან, ასევე მოახდინოს პროექტის შედეგების

გაზიარება აკადემიური და ბიზნეს წრეებისთვის, რაც სწორი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი იქნება. მიზანი. პროექტის HEIn4 მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაძლიერება საქართველოსა და უკრაინაში მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის პროცესის განხორციელებაში, რასაც ხელს შეუწყობს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები: • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური რესურსები და ინსტიტუციონალურსტრუქტურული ერთეულები); • ინდუსტრიის წარმომადგენლების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსების განხორციელება; • საკონსულტაციო მომსახურების გაწევა კომპანიებისთვის; • ახალი სასწავლო მოდულის შემოღება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის; სამ ძირითად ბლოკად განაწილებული ძირითადი და დამხმარე აქტივობების ოთხი პაკეტი პროექტის წარმატებულ განხორციელებას და მიღწეული შდეგების ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ბსუ-ს გუნდი. ბსუში პროექტის კოოორდინაციას უწევს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკლტეტი, პროექტში სხვადასხვა პოზიციაზე ჩართულია პერსონალი: 1. ლელა თურმანიძე, პროექტის მენეჯერი, მკვლევარი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი; 2. მერაბ ხალვაში, მკვლევარი, ბსუ-ს რექტორი; პროფესორი; 3. ვლადიმერ ღლონტი, მკვლევარი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; 4. მიხეილ დონაძე, მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი; 5. ნანა მაზმიშვილი, მკვლევარი, ადმინისტრაციული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; 6. მაია ძაძამია, მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი; 7. ელზა ჯინჭარაძე, მკვლევარი, ასისტენტ პროფესორი; 8. გიორგი იმნაიშვილი, მკვევარი, ტექნიკური პერსონალი, ზუსტ მეცნერებათა და განათლების ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბებულია შემფასებელთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი; პროფესორი ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე, ჯგუფის წევრი; გიორგი თავამაიშვილი- სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი. ასოცირებული პრფესორი ირაკლი კორძაია - ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ.შ. ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი; მერაბ დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი. დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ გვერდზე: https://hein4.net/

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

"The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."